

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის N2 ოქმი

ქ.თბილისი

06.03.2015

სხდომა დაიწყო: 15:00 სთ-ზე

სხდომა დასრულდა: 17:30 სთ-ზე

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანებით განსაზღვრული „2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების“ კომისიის მეორე სხდომა ჩატარდა 2015 წლის 6 მარტს ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ში, შემდეგ იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. N 48.

სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდის“ ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის - მერაბ ფოლადაშვილის ინიციატივით, სამუშაო ჯგუფის წევრებისათვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდნენ 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული საინჟინრო-საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მიერ N02-40 ბრძანებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის შემადგენლობის შემდეგი წევრები:

1. კომისიის თავმჯდომარე - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - **მერაბ ფოლადაშვილი**;
2. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სტრატეგიული თანამშრომლობის სამსახურის უფროსი - **ნინო კორმახია**;
3. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის უფროსი - **დავით ძაძაძია**;
4. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს არქიტექტორი - **ნინო ნოზაძე**;
5. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის საინჟინრო შეფასებების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **გიორგი მაღრაძე**;
6. კომისიის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის მრჩეველი - **არჩილ ბარბაქაძე**;

J. George

6.0m

~~George~~

7. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი - **გვანცა ბერუჩაშვილი**;
8. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის შესყიდვების მთავარი სპეციალისტი - **გურამ სოფრომაძე**;
9. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის პროექტის კოორდინირების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **ალექსანდრე მალრაძე**;
10. აპარატის წევრი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის გეოდეზიური და კარტოგრაფიული სამუშაოების ჯგუფის მთავარი სპეციალისტი - **სალომე სირბილაძე**;
11. აპარატის წევრი/სხდომის მდივანი - ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურისტი **სალომე სართანია**.

კომისიის სხდომა გახსნა და ხელმძღვანელობდა ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს ინფრასტრუქტურული პროექტების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე - **მერაბ ფოლადაშვილი**.

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს თავმჯდომარის 2015 წლის 10 თებერვლის N02-40 ბრძანების თანახმად ჩატარებული კონკურსის საფუძველზე მიღებული საკონკურსო წინადადებების გახსნა და პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობის დადგენა ფონდის მიერ წარდგენილ მოთხოვნებთან.

კომისიამ მოისმინა და განიხილა:

- 1) კონკურსში საკონკურსო წინადადებები წარმოადგინა სამმა კომპანიამ:
 - ა) ა(ა)იპ „ინჟინრული აზრი“; ბ) ICOMOS/საქართველო; გ) შპს „არკო 04“.
- 2) კომისიის თავმჯდომარის - მერაბ ფოლადაშვილის და კომისიის წევრების - დავით ძამამიას, ნინო ნოზაძის, არჩილ ბარბაქაძისა და გიორგი მალრაძის მიერ წარმოდგენილი იქნა ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არქონის შესახებ. (დანართი N1)
- 3) კომისიის წევრის - ნინო კორმახიას მიერ წარმოდგენილ იქნა განცხადება, რომლითაც ითხოვს საკონკურსო კომისიაში მისი მონაწილეობის შეწყვეტას. (დანართი N2)
- 4) ა(ა)იპ „ინჟინრული აზრი“-ს მიერ წარმოდგენილ იქნა საკონკურსო წინადადებები დავით აღმაშენებლის გამზირი N36 და N34-ში მდებარე სახლების რესტავრაცია-რეაბილიტაციის პროექტთან და დავით აღმაშენებლის გამზირი N184-ში მდებარე სახლის რეაბილიტაციის პროექტთან დაკავშირებით.

James G. 6.0ml ~~James G.~~ oh